[illegible]

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველდღიური გაზეთი

კომუნისტი

თბილისი.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქუჩა, № 4. ტელეფონები:
საერთო—დღისა 14—76, სტამბის—ღამისა—79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

პარასკევი, 1 ივლისი 1921 წ.

№ 97 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 97

ეროვნული ბიბლიოთეკა

F75/2 № 13785

კოოპერატივი და საბჭოთა რესპუბლიკა

ჯერ ისევ მენშევიკების ბატონობის ხანაში გაეცნო ჩვენი ხალხი კოოპერაციას.

წვრილ მწარმოებელ ხალხს ჭკუაში დაუჯდა ეკონომიური ორგანიზაციის ეს ფორმა და კიდეც შეითვისა ის. „კოოპერაცია“ დღეს, როგორც ჩვენებური გლეხი უწოდებს მას, ჩვეულებრივ ეკონომიურ ორგანიზაციათ გადაიქცა ჩვენში და არ არის დარჩენილი ჩვენი ქვეყნის არც ერთი კუთხე, რომ იქ არ მუშაობდეს ამა თუ იმ ფორმის კოოპერატივი.

ეს მეტად ხელსაყრელი პირობაა ჩვენთვის, მაგრამ სიძნელე იმაშია, რომ ერთია დანიშნულება—მიზანი კოოპერატივის ბურჟუაზიულ სახელმწიფოში და სხვაა საბჭოთა რესპუბლიკაში.

ძალა-უფლების დაპყრობით, საბჭოთა რესპუბლიკის დაარსებით მუშათა მოძრაობის ერთბაშათ ეცვლება საფუძველი.

წინათ საჭირო იყო შრომის დაცვა ექსპლოატატორთაგან და კაპიტალის მონობისგან, საერთოთ შრომის განთავისუფლება.

მუშურ-გლეხური რესპუბლიკის დაარსებით ეს მიზანი ერთბაშათ მიღწეულია, შრომა განთავისუფლებულია უმთავრესათ, მას მცველათ ისეთი ფხიზელი და მარჯვე დარაჯი ჰყავს მიჩენილი, როგორიც არის საბჭოთა რევოლიუციური მთავრობა.

ახლა ერთი მხრით საჭიროა შრომის დაცვა და მისი პირობების გაუმჯობესება იმისდაგვარათ, რამდენადაც ამის ნებას თვით ეკონომიურ-ტეხნიკური პირობები იძლევა. ხოლო მეორე მხრით საჭიროა ის, რომ წარმოება აეგოს ახალ საფუძველზე, შემუშავდეს ახალი სოციალისტური ეკონომიკა, რამდენათაც ამისთვის ეკონომიურ-სოციალური პირობები არსებობს.

ამიტომ ვამბობთ, რომ დღეს გარდამავალ ხანაში, როცა ჩვენში არც ეკონომიური და არც ეკონომიურ სოციალური პირობები საკმაოთ მომწიფებული არაა, როცა წარმოების ყოველ დარგში ისევ წვრილი ხელოსნური ფორმა სჭარბობს, არ შეიძლება წმინდა სოციალისტური ეკონომიკა შემოვიღოთ, ერთბაშათ უარვყოთ და უკუ ვაგდოთ წვრილი წარმოება და ანგარიში არ გაუწიოთ მას.

აუცილებელი ხდება ერთი მხრით მსხვილი მაშინური წარმოების კოლექტიურ საფუძველზე აგება, ხოლო მეორე მხრით წვრილი ხელოსნური წარმოების ორგანიზაციულათ მოწყობა, რომ მუშების ხელმძღვანელობით მან შეიძლოს წარმოების მაღალ კოლექტიურ ფაზაში გადასვლა და განსაზოგადოებრივობა.

და აი ასეთი ორგანიზაციაა დღეს კოოპერატივი, რომელსაც, როგორც ვსთქვით, წვრილ მწარმოებელი ხალხი ბუნებრივათ არის შეგუებულ-შეწყობილი. საჭიროა მხოლოთ, რომ ამ კოოპერატივებს ხელმძღვანელობდენ პროფკავშირები, რომლებიც დღეს სახელმწიფოებრივ ეკონომიკის პრაქტიკულათ განხორციელების საქმეს სათავეში უდგანან.

უნდა აღინიშნოს ამ მხრით ერთი მეტათ საყურადღებო გარემოებაც. სახელდობრ ის, რომ კოოპერატივი ეს უმთავრესათ წარმოების ორგანიზაცია კი არ არის, არამედ განაწილების, საქონლის გაცვლა-გამოცვლის, მდაბიურათ იგი აღებ-მიცემობის ანუ ვაჭრობის ორგანიზაციაა.

და რომ საბჭოთა რესპუბლიკაშიაც ისეთივე უსამართლო, უსწორმასწორო და ანარქიული წესით არ იწარმოვოს განაწილების პროცესმა, როგორც ეს ბურჟუაზიულ სახელმწიფოებშია, ამისთვის განსაკუთრებით საჭიროა მისი მოწესრიგება ორგანიზაციულათ.

კოოპერატივი, რომლებშიაც საერთოთ ყველა მშრომელი ელემენტი თავს იყრის, როგორც მომხმარებელი, ამისი საუკეთესო ფორმაა.

ამიტომ იყო, რომ ამხ. ლენინმა თავიდანვე გამოთქვა ის აზრი, რომ კოოპერატივებში მთელი მშრომელი ხალხი იძულებით უნდა გაერთიანდესო; და ამას პირველ ხანებში დღემდე რუსეთის მშრომელი გლეხური მთავრობა მართლაც ატარებდა: იქ დღემდე არც ერთ მოქალაქეს არ შეეძლო რაიმე საქონლით ესარგებლნა, თუ კოოპერატივში არ იყო შესული. ამნაირათ დღემდე იქ კოოპერატივში შესვლა სავალდებულო იყო.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ამა წლის გაზაფხულიდან საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიური პოლიტიკა შეიცვალა, ახალი გზა შემუშავდა, და აი ამ პოლიტიკასთან უნდა იქნას შეფარდებული კოოპერატივების გამოყენების საქმეც.

კოოპერატივს დღეს მეტათ საჭირო და რთული საქმე აწევს კისრათ. მან უნდა მოაწესრიგოს საბჭოთა რესპუბლიკაში ვაჭრობის თავისუფლების გვერდით საქონლის გაცვლა-გამოცვლა, არა მარტო აღებ-მიცემობა საერთოთ, არამედ წარმოებაც, რამდენათაც ამის საშუალებას აძლევს მას წვრილი წარმოების და კერძო საკუთრების პირობები.

კოოპერატივი უნდა გახდეს ის მექანიზმი, რომლის საშუალებით მოეწყობა ქალაქსა და სოფელს შორის საქონლის გაცვლა-გამოცვლა რომლის საშუალებით ქალაქს სამრეწველო მუშა თავის ნაწარმოებს ან უცხო ქვეყნებიდან შემოტანილ საჭირო საგნებს გაუცვლის ჩვენებური სოფლების მეურნე გლეხკაცობას, მის სასოფლო სამეურნეო ნაწარმოებში.

აქედან პრაქტიკული მისი მნიშვნელობა გარდამავალ ხანაში დიდია.

მაგრამ მას თან სდევს წვრილბურჟუაზიული შხამი, მას ეფარებიან კერძო საკუთრების მოტრფიალენი და „შემთანხმებელი სოციალისტების“ ყველა ჯურის ჯგუფები, განსაკუთრებით ჩვენში კარგათ ცნობილი მენშევიკები—ეს კოოპერატივები მათი სტიქიაა.

და აი სხვა დარგებში, განსაკუთრებით სახელმწიფო დაწესებულებებში და პროფკავშირებშიაც, რომ მათ მუშებისა და კომუნისტური პარტიის მეოხებით ნიადაგი აქვთ გამოცლილი, ისინი იქ, კოოპერატივებში პოხიერ ნიადაგს პოულობენ, იქ ისინი შედარებით თავს უფრო თავისუფლათ გრძნობენ.

ამიტომ ამ მხრით მოსალოდნელია ეს ორგანიზაციები მათ კონტრ-რევოლიუციურ ბაზათ გადააქციონ და საბჭოთა რესპუბლიკას მახე დაუგონ. მათ უფრო ეს შესაძლოა, რადგან რესპუბლიკა დღეს საშინელ სიძვირეს, სიმშილს და უსწორსათობას განიცდის.

ამ დროს საქონლის გაცვლა-გამოცვლის ოდნავ შეფერხება და უსწოროთ, არევ-დარევით განაწილება მდგომარეობას ძალზე გაამწვავებდა და მართლაც ნამდვილ კატასტროფამდე მიიყვანდა.

ხოლო თუ კოოპერატივი თავის დანიშნულებას შეასრულებს: მოაწყობს საქონლის მცხოვრებთა შორის წესიერათ, ზომაშეწონილათ განაწილებას, ცხადია, უსწორსათობით, საერთოდ უსაქონლობით გამოწვეული ტკივილები ისე საგრძნობი აღარ იქნება და რესპუბლიკისთვის საშიშროებას ვერ შექმნის.

ამიტომ საჭიროა მუშათა ორგანიზაციები, პროფკავშირები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დღევანდელ პირობებშიაც კოოპერატიულ საქმესაც სათავეში ჩაუდგენ და კონტრ-რევოლიუციურ ელემენტებს იქ გასაქანი არ მისცენ. მხოლოთ ამ პირობით შეიძლება კოოპერატივი გამოყენებულ იქნას ნაყოფიერათ დღეს საბჭოთა რესპუბლიკაში.

რაზე უნდა ვსწეროთ!

ჩვენი პრესა ჯერ კიდევ ოდნავაც ვერ განთავისუფლდა ძველი ჩვეულებიდან. მას ჯერ კიდევ ვერ დაუხწევია თავი პროპაგანდის და აგიტაციის ძველი წესებისა და მეთოდებისთვის ჩვენ პარტიულ გაზეთებში დღესაც მოწინავეები უმეტეს ნაწილათ იწერებიან ზოგად, განყენებულ საგნებზე. ასევე ითქმის სხვა წერილებზედაც. ჩვენ გაზეთებს დღემდის შეუნარჩუნებიათ ის სახე, რომელიც მათ ქონდათ იმ დროს, როცა ჩვენი პარტია იბრძოდა არსებული წესწყობილების წინააღმდეგ და როცა მას საზოგადოებრივი ცხოვრების აღმშენებლობაში თითქმის არავითარი მონაწილეობის მიღება არ შეეძლო.

დღეს კი მდგომარეობა ძირიანათ შეიცვალა. ჩვენი პარტია სათავეში მოექცა სახელმწიფოს და, მაშასადამე, ის სათავეშივე უდგას საზოგადოებრივი ცხოვრების აღმშენებლობის დიად საქმეს. სამწუხაროთ ჩვენი პრესა ვერ უწევს საკმარის ანგარიშს ამ გარემოებას. მთელი ჩვენი პრესა უნდა გადაკეთებულიყო შეცვლილ პირობების მიხედვით. აქაც ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შევსძელით საბჭოთა რუსეთის მდიდარი გამოცდილების გამოყენება. ამ უკანასკნელი სამი ოთხი წლის განმავლობაში იქ როგორც საბჭოების, ისე პარტიულმა პრესამ წმინდა პრაქტიკული ხასიათი მიიღო. ის გადაიქცა ნამდვილ შემოქმედების იარაღათ. მრეწველობის საკითხები, საკითხები მიწათ-მოქმედების, წითელი არმიის შექმნის, პროფესიონალური კავშირების გარდაქმნის, ბრძოლა ყოველგვარი დეზერტირობის წინააღმდეგ, პარტიის გაძლიერება და აღორძინება, სწავლა-განათლების და კულტურის წარმატებამ, განსაკუთრებით პურის, სიმშილის და სიცივის საკითხები, აღდგენა ტრანსპორტის, საწარმოო ძალების აწევა, ერთი სიტყვით, ქვეყნის ეკონომიური აღორძინების და ხალხის კეთილდღეობის საკითხები—აი ის, რაც იყო და არის პირველ რიგზე წამოყენებული საბჭოთა რუსეთის პრესაში. ყველასათვის აშკარაა, თუ რა დიდი როლი ითამაშა საბჭოთა რუსეთის ცხოვრებაში ამ ახალმა პრესამ და რა როლს თამაშობს ის დღესაც. თავის თავათ იგულისხმება, რომ საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში ეს ახალი პრესა გადაიქცა ერთ უძლიერეს იარაღათ. სამწუხაროთ, ამას ვერ ვხედავთ ჯერ საბჭოთა საქართველოში.

ჩვენი პრესა ცხოვრებასთან თითქმის სრულებით დაშორებულია. თქვენ აქ ამ პრესიდან ვერაფერს გაიგებთ იმაზე, თუ რა ხდება საქართველოს მრეწველობაში, რკინის გზის ანუ ტრანსპორტის აღდგენის საქმეში, მიწათმოქმედების დარგში; მისთვის უცხო საგანია ჩვენი წითელი არმიის შექმნა, ის არ აქცევს ყურადღებას საბჭოთა კანონმდებლობას, არ უხსნის და არ აცნობს ამ კანონმდებლობას მკითხველებს. სოფლად ტარდება უდიდესი აგრარული რეფორმა; ჩვენ ჩავატარეთ დათესვის კამპანია. ახლა ტარდება ყაჭის კამპანია და სხვ. და ყოველივე ეს თითქოს არც კი იყოს. ჩვენი მშრომელი მასა, განსაკუთრებით მუშათა კლასი გმირულათ სძლევს ყოველგვარ დაბრკოლებას და სამაგალითოთ ასრულებს თავის მოვალეობას შრომის სარბიელზე. ამას წინათ გამოქვეყნებული იყო ტელეგრამა ფოთიდან, რომელიც გვაუწყებდა, რომ ფოთის მუშებმა თავისივე ინიციატივით სამი ჩაძირული გემი ამოიღეს ზღვის ძირიდან, შეაკეთეს და აამოძრავეს. და ასეთი ფრიად საგულისხმიერო ამბავი თითქმის ყველასათვის შეუმჩნეველი დარჩა; და რამდენი ასეთი ფაქტი რჩება ჩვენთვის აღუნუსხავი. არაფერი იმის მსგავსი, რაც ამას წინეთ მოიმოქმედეს ფოთის მუშებმა საბჭოთა ხელისუფლების დროს, არ შეიძლებოდა მომხდარიყო და არც მომხდარა ჩვენში მენშევიკების დროს. და ეს მთავრობის დაუხმარებლათ, თითქმის უსასყიდლოთ, მშიერმა და შიშველ-ტიტველ ხალხმა. აი ვინ არის ღირსი წითელ დაფაზე აღსანიშნავათ. ეს ერთი თვალსაჩინო ფაქტთაგანია. ისინი მრავალია. ჩვენი პრესისთვის კი ყოველივე ეს შეუმჩნეველი და აღუნუსხავი რჩება; იმავე დროს კი გაზეთების კაბადონები ავსებულია ყოვლად უმნიშვნელო რამეებით იმ დროს როცა ცხოვრების ნამდვილი ფაქტები აღუნიშნავი რჩება.

აქედან მოკლეთ დასკვნა ასეთია: ჩვენი პრესა ძალიანათ უნდა გადაკეთდეს იმ პრაქტიკული მიზნების თანახმათ, რომლებიც კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას დასახული აქვს განსახორციელებლათ. უფრო გასაგებია რომ ვთქვათ, ჩვენმა პრესამ უნდა მაგალითი აიღოს საბჭოთა რუსეთის პრესიდან. დღეს ჩვენ ომს არ ვაწარმოებთ არც გარეშე და არც შინაურ ფრონტზე. დღეს ჩვენ ვიბრძვით ეკონომიური დარღვევის წინააღმდეგ. ჩვენ უნდა აღვადგინოთ წარმოება, გავანაყოფიეროთ შრომა, ავწიოთ საწარმოო ძალა ომის ველზე მებრძოლ გმირების მაგიერ ჩვენ უნდა წარმოვშვათ დღეს გმირები შრომის ასპარეზზე. თითოეულ წინ გადადგმულ ნაბიჯს ამ გზით, რაგინდ მცირე იგი არ უნდა იყოს, აქვს უდიდესი მნიშვნელობა. და პრესამ უნდა აღნიშნოს იგი როგორც წარმატება, როგორც გამარჯვება ეკონომიურ ფრონტზე.

ყველა ჩვენ მწერლებს და პუბლიცისტებს, ყველა ჩვენ პარტიულ ამხანაგებს მოვუწოდებთ მთელი თავისი ყურადღება გადაიტანონ ამ მხარეზე; თავისი წერის უმთავრეს საგნათ გადააქციონ [illegible] საკითხები წარმოების ყველა დარგში; და ეს არა განყენებულ, არამედ პრაქტიკულათ, არა თეორიულად მხოლოდ, არამედ ფაქტიურად. მხოლოდ ამ შემთხვევაში გადავაქცევთ ჩვენ დღევანდელ პრესას არა მარტო ყურადღების ღირსად, არამედ აღორძინების ძლიერ იარაღათაც.

ფ. მახარაძე.

საბჭოთა რუსეთის პრესა

ჩვენი ბონაპარტისტები.

6 ივნისს ქ. პარიზში გაიხსნა ბურცევისა და ვრანგელის სხვა მომხრეთა ინიციატივით რუსეთის „ნაციონალური“ ყრილობა. ამ ყრილობაზე უნდა თვით გამოირკვიონ და შეკავშირდენ ჩვენი თანამემამულე ბონაპარტისტები.

არევ-დარევა, რომელიც გამოწვეულია ღრმა საზოგადოებრივი ცვლილებებით და კლასიური ბრძოლის გამწვავებით, ყოველთვის აყენებს ავანსცენაზე ავანტიურისტულ ელემენტებს, რომლებიც ჩვეულებრივ დროს თავს იფარავენ ბურჟუაზიულ საზოგადოების სოროებში, ხოლო ქარიშხლიან მომენტებში კი იწყებენ „საზოგადოების, წესიერების და ცივილიზაციის გადარჩენის“ როლის თამაშს „ანარხიის კლანჭისაგან“. ასეთი ავანტიურისტების დასრულებული ნიმუში, რომლებიც ამოატივტივა ისტორიის კაპრიზმა ტალღებზე, იყო ლუი ბონაპარტი, შემდეგ კი იმპერატორი ნაპოლეონი მე III. ორგანიზაცია, რომელმაც მოუპოვა მას საფრანგეთის ტახტი იყო ცნობილი „10 დეკემბრის საზოგადოება“. ქულიკების ამ ბანდებში, რომელთა უკვდავი დახასიათებაც მოგვცა ჩვენ კარლ მარქსმა თავის ნაწარმოებში: „ლუი ბონაპარტის მე-18 ბრიუმერი“, გაღატაკებულმა არისტოკრატებმა, გაკოტრებულმა სპეკულიანტებმა, უმუშევარ [illegible]ებმა, ოფიცრებმა იარმარკის შარლატანებმა, ყოფილმა რევოლიუციონერებმა და სხვა და სხვა სახის მაწანწალებმა, რომლებსაც არ უყვარდათ მუშაობა, მაგრამ უყვარდათ კარგათ ცხოვრება,—ერთი სიტყვით, თანამედროვე საზოგადოების ყველა ნაძირალებმა გაუწოდეს ერთი მეორეს ხელი რევოლიუციონურ პროლეტარიატზე ერთად გასალაშქრებლათ ბურჟუაზიულ „ცივილიზაციისა“ და „წესიერების“ გადასარჩენათ.

დაახლოვებით ასეთივე ჭრელი მასა თავს იყრის ახლა ვრანგელის დროშის ქვეშ პარიზის „ნაციონალურ“ ყრილობაზე, რომელსაც პატრონობას უწევს ბ. ბურცევის „ობშჩაია დელო“, აქ ჩვენ ვხედავთ გაღატაკებულ არისტოკრატებს, როგორიცაა თავადი დოლგორუკოვი სტოლიპინის ყოფილ დამქაშს, ჯალათს, რეაქციონურ კაპიტალისტურ გუჩკოვს, ყოფილ ნაროდოვოლეც ბურცევს, ყოფილ სოციალ-დემოკრატს (თითქმის ბოლშევიკსაც კი!) ალექსინსკის, ყოფილ ესერ სავინკოვს, ყოფილ, და შეიძლება ითქვას, დღევანდელსაც, სიონისტ პასმანიკს, უსაქმოთ დარჩენილ ოფიცრებს, აქციონერებს, სპეკულიანტებს, სახელმწიფო დუმისა და სახელმწიფო საბჭოს წევრებს, ჟურნალისტებსა და სენატორებს,—ერთი სიტყვით, მეფის ყოველგვარ სიბინძურეს. ყველა ესენი ბოლომდე არიან სავსე მუშურ-გლეხური რესპუბლიკის წინააღმდეგ, ღარბათ ილესავენ მასზე კბილებს და ეძებენ ხაზეინს, რომელთანაც ხელსაყრელი იქნებოდა დაქირავება.

ახლა მთელი ეს შაიკა შეიკრიბა ყრილობაზე (რასაკვირველია საფრანგეთის მთავრობის ფრთების ქვეშ), რათა დაათვალიერონ თავიანთი ძალები და მოილაპარაკონ. ფაქტს თავად ეს ერთი მუჭა უმუშევარი მაწანწალები არ წარმოადგენენ არავითარ განსაზღვრულ საზოგადოებრივ კატეგორიას და სოციალურ ძალას. ეს სწორეთ შაიკაა, დაქირავებულ მაწანწალების ბანდაა, რომელიც ასრულებს ვილიცის დავალებას. მაგრამ ვის? ვის უნდათ ახლა მიყიდონ მათ თავიანთი ხმალი, რომელიც ჯერ კიდევ წითელია რუსეთის მშრომელთა მასების სისხლით?

ჯერ კიდევ გუშინ ისინი ემსახურებოდენ მემამულეთა რესტავრაციის საქმეს. შეიძლება ხვალაც ქნან ეს, ვინაიდან თავად აზნაურობა მთელი მისი ამალით სამხედრო, საეკლესიო და სამოქალაქო ბიუროკრატიისა წარმოადგენდა რუსეთში მეტად მსხვილ ძალას, რომ გამქრალიყო უცბათ უკვალოთ. მაგრამ დღეს ეს ძალა დასუსტებულია, ის დამარცხებულია, სახელგატეხილია და არ არის დარწმუნებული თავის თავში. მისი დროშა მეტის მეტადაა შერცხვენილი არა მარტო მშრომელთა მასების, არამედ ბურჟუაზიულ „საზოგადოების“ ფართო წრეების თვალშიაც. საჭირო იყო მეორე დროშა, რომლის ქვეშაც შეიძლებოდა გადარჩენილი კონტრ-რევოლიუციონური ძალების შეყრა რომელთაც ძალზე სწყუროდათ რევანში. ასეთი დროშა ნახეს: ის აფარებულია ბურჟუაზიის, რუსეთის კაპიტალის მიერ ახლახან მომხდარ საგაჭრო-სამრეწველო ყრილობაზე პარიზში.

დაქირავებული ხმალი, დაქირავებული ენა ისეთივე გულმოდგინეთ მოჰკიდებს ხელს ბურჟუაზიულ რესტავრაციის საქმეს, როგორც აქამდის—მემამულეთა რესტავრაციის საქმეს.

მეტად დამახასიათებელია, რომ ბურცევის გაზეთი: „ობშჩეე დელო“, რომელმაც მოაწვია „ნაციონალური“ (იგულისხმეთ: ვრანგელის) ყრილობა, იმავე დროს იყო საგაჭრო სამრეწველო ყრილობის ლეიბ-ორგანოც.

საგაჭრო სამრეწველო ყრილობამ წამოაყენა რუსეთის ბურჟუაზიის ეკონომიური და პოლიტიკური ძალა უფლების აღდგენის პროგრამა. მაგრამ ამ მომხიბლავ პროგრამის განხორციელების საშუალებებზე კოლუარებმა და [illegible]ებმა კრინტიც არ დაძრეს. ამ საშუალებებზე შეიძლება მიმხვდარიყავით მხოლოთ რიაბუშინსკის სიტყვებიდან, რომელიც მიმართული იყო გუჩკოვისაკენ, სადაც რუსეთის კაპიტალის ბელადმა დაპირდა შეურაცყოფილ ანაზღაურებას, რომ ბურჟუაზიულ რუსეთში მათთვისაც მოიპოვება „სამუშაო“. ბონაპარტისტებმა გაიგეს გადამწყვეტი ნიშანი. მათი სახელით ჩვენი ბონაპარტიზმის თეორეტიკი ბურცევი გვპირდება: „აი ხმალი! იყიდეთ, მხოლოთ ის და ის მოგვწყობს თქვენ თქვენს ბურჟუაზიულ ელდორადოს!“ უნდა ვიფიქროთ, რომ რუსეთის ვაჭრები ყურადღებას მიაქცევენ ამ წინადადებას. იყიდიან რა ვრანგელებს, დაიქირავებენ რა რუსეთის ბონაპარტისტებს, ისინი გამოაჩენენ ბოლოს თავის არმიას.

ბონაპარტისტები, რომლებისთვისაც სულ ერთია, თუ ვის მიეყიდებიან, შეადგენენ ამ გვარათ, კონტრ-რევოლიუციონურ არმიის ცენტრს. მისი მარჯვენა ფრთა იქნებიან შეურაცხყოფილი მონარქიზმის თავგადებული მებრძოლები, რომლებსაც აქვთ აგრეთვე ახლა თავისი ყრილობა გერმანიაში. მარცხნივ იქნებიან „დემოკრატები“—კადეტები და ბანდიტების [illegible] ესერები. შუაში კი თეთრ ცხენზე იქნება თვით გენერალი ბარონი ვრანგელი. ერთ უზანგს დაუჭერს მას ყოფილი ნაროდოვოლეცი ბურცევი, მეორეს კი ყოფილი ბოლშევიკი ალექსინსკი. გენერლის ცხენის აღვირი ხელში ექნება ყოფილ ესერს სავინკოვს, ხოლო მიმართულებას კი მისცემს რიაბუშინსკი კონოვალოვითა და... საფრანგეთის ბანკირები. ამ სახით კონტრ-რევოლიუციონური ლაშქარი დაიძრება საბჭოთა რუსეთის დასაპყრობათ.

რუსეთის ხალხო! შენს წინააღმდეგ ემზადებიან გამოსალაშქრებლათ კაენის შვილები. იყავ სადარაჯოზე და დაანახვე ამ შარლატანებსა და მაწანწალებს, რომ არ შესუსტებულა ჯერ კიდევ შენი ძალა და კიდევ მოიძებნება თოფის წამალი. და შენი გმირული მკლავის მოქნევით სამუდამოთ გაქრება მთელი ეს სიბილწე სწორედ ისე, როგორც ქრებიან ბოროტი სულები დილის მანათობლის ამოსვლისას.

ი. სტეკლოვი.

„იზვესტია“ № 123.

კომინტერნის მე-3-ე კონგრესი

მოსკოვი. 24 ივნისი (რადიო). 2 სხდომა კომინტერნის მესამე კონგრესისა შესდგა 22 ივნისს კრემლის დიდ სასახლეში. იქნა არჩეული სეკრეტარიატი 15 დიდი კომუნისტური პარტიებისაგან, დამტკიცებულ იქნა დღიური წესრიგი, რის შემდეგ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ტროცკი.

ამხ. ტროცკის მოხსენება.

ამხ. ტროცკის მოხსენება შეეხება მსოფლიო თანამედროვე ეკონომიურ ვითარებას და კომინტერნის მომავალ მიზნებს. ამხ. ტროცკი ლაპარაკობს გერმანულ ენაზე. სთარგმნიან მის სიტყვას ინგლისურ და ფრანგულ ენებზე.

ბურჟუაზია გადაჭარბებულად აფასებს თვის მიზნებს. მიუხედავად იმისა, რომ კომუნიზმი დაქსაქსულ ჯგუფებიდან უძლიერეს ძალად გადაიქცა მთელს მსოფლიოში, ბურჟუაზია დღეს უფრო ნაკლებ პანიკას განიცდის, ვიდრე ეს იყო 1920 წელში. ამით აიხსნება სოციალ-დემოკრატებისა და დამოუკიდებლების წასვლა, ან გაძევება მთავრობებიდან. ამითვე აიხსნება უქორწინო კავშირი ამსტერდამის პროფკავშირების ინტერნაციონალის და ორ ნახევარ ინტერნაციონალს შორის.

კლასიური დამსხვრევა ან კაპიტალიზმის აღორძინება.

ამხ. ტროცკიმ გადაშალა მთელი სურათი ისტორიაში ჯერ არ ყოფილი ომის შემდეგ მომხდარი რევოლიუციური მოძრაობისა: გაფიცვები ინგლისში, რუსეთში პროლეტარიატისაგან ძალა-უფლების ხელში ჩაგდება, გერმანიის მონარქიის დაცემა, სამოქალაქო ომი უნგრეთში, მშფოთვარე გაფიცვები შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში პოლიტიკური ატმოსფერის დამძიმება 1920 წლის მაისში, იტალიის პროლეტარიატის მოძრაობა ფაბრიკა ქარხნების ხელჩასაგდებად და ჩეხიის პროლეტარიატის მასიური პოლიტიკური გაფიცვები. ამ წელში მოხდა აჯანყება შუა გერმანიის მუშათა კლასისა, გიგანტიური გაფიცვები ინგლისურ სამთო მაღაროებში მომუშავეთა და საერთო გაფიცვა ნორვეგიაში. მუშათა კლასის წინ სდგას საკითხი: რას მოგვიტანს ახლო მომავალი (დამახინჯებულია)... პოლიტიკურ რყევას და კლასიურ ბრძოლას მოველით, თუ დადგება კაპიტალიზმის აღორძინების დრო?

ევროპის მსხვილ კაპიტალისტურ ქვეყნების დანგრევა.

ტროცკის მოჰყავს მთელი რიგი ციფრებისა იმის დასამტკიცებლად, რომ მეურნეობა კაპიტალისტურ ქვეყნებში საშინელ კრიზისს განიცდის. წარსულ წელს ევროპაში მოსავალი 720 მილ. ნაკლები იყო, ვიდრე ომამდის. სამაგიეროთ ამერიკას აღმოაჩნდა ევროპის ანგარიშზე ზედმეტი საქონელი. ევროპის მცხოვრებნი გაიზარდენ ომის განმავლობაში 30 მილიონით, პური კი 720 მილ. ფუთით შემცირდა.

ამრიგათ კაცობრიობა გაღარიბდა რკინისა და ნახშირის და აგრეთვე სხვა მრეწველობისათვის ძირითად დარგების დამუშავება ძლიერ დაეცა, ომმა მოსპო ომში მონაწილე სახელმწიფოების ნახევარზე მეტი ნაციონალური სიმდიდრე. სამაგიეროთ არა ჩვეულებრივ გაიზარდა ქაღალდის ფულის ტრიალი: ომამდის 28 მილიარდი იყო ტრიალში მსოფლიო ბაზარზედ, დღეს კი—300 მილიარდი მუშაობს. ბაზრის ქაღალდის ფულით გავსებასთან ერთად ცვდებოდა ინვენტარი და სამანქანო აღმშენებლობა, რომელიც მთელს მსოფლიოში საშინლად დაეცა.

გერმანიის გაკოტრება

გერმანიაში 11,3 მილ. შრომის უნარის მქონეთა მაგიერ ომამდის, დღეს ასეთი უნარის მქონეა მხოლოდ 4,8 მილ. ომამდის გერმანიაში მოსავალი იყო 15 მილ. ფუთი, ხოლო 1920 წელს მხოლოდ 5,2 მილ. ფუთი. გერმანიის სახელმწიფო ვალი ავიდა 250 მილიარდამდის ოქროთი. ყოველ წლიური ნაციონალური შემოსავალი დაეცა 60 პროცენ. გერმანიის მდგომარეობა დახასიათდება სახელმწიფოს გაკოტრებით.

საფრანგეთი პარაზიტია ევროპის და მთელ მსოფლიოს.

საფრანგეთში დღეს ოთხფეხი საქონელი ნაკლებია 5 მილიონი სულით, ვიდრე ომამდის იყო. ხორბალი (დამახინჯებულია) . . . მილ. ფუთამდის შემცირდა, ნახშირი ნაკლებია 96 მილიონამდის, ფოლადის ჩამოსხმა შემცირდა ნახევარზე უფრო მეტად.

შემოტანის 37 მილიარდის ფრანკით უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საფრანგეთის ვაჭრობამ გვიჩვენა, რომ საქონლის შემოტანა მეტია 37 მილიარდი ფრანკით, ვიდრე გატანა. ყოველ წლიური ბიუჯეტი საფრანგეთის გვიჩვენებს 5,5 მილიარდი ფრანკის დაკლებას. საფრანგეთის სძლებს მხოლოდ გერმანიისა და კოლონიათა ხარჯზე.

ინგლისი ჰკარგავს მსოფლიო მნიშვნელობას.

ძალიან დიდი ფასი დაუჯდა (დამახინჯებულია) ინგლისს მხოლოდ მოკლე დროით სოფლის მეურნეობის გაუმჯობესობა. ნახშირის წარმოება, რომელიც არის მთელი ინგლისის სახალხო მეურნეობის საფუძველი, დაეცა შვიდი წლის ომის განმავლობაში 20 პროც. ასევე დაეცა ფოლადის ჩამოსხმის მრეწველობა. გატანა ნახშირისა ამ წელიწადში შეადგენს ერთ მეექვსედ ომამდის გატანილ ნახშირისა. სახელმწიფო ვალი ინგლისისა გაიზარდა 11 ათას გირვანქა სტერლინგებით; სტერლინგის ხსენება იწვევდა წარმოდგენას ინგლისის ვალიუტების ბატონობისას მთელს მსოფლიოში, დღეს კი ამერიკული დოლარის მიოხებით წაერთვათ თავისი [illegible] ოლი.

ამერიკა და იაპონიის განვითარება ევროპის ხარჯზე.

ამერიკაში ნახშირის წარმოების გადიდება 10 პროცენტს აღემატება, ნავთის წარმოება კი გადიდდა ორჯერ. ამ ჟამად ამერიკის ხელშია მთელი ქვეყნის ნახშირის წარმოების 40 პროცენტი, მსოფლიო ტონნაჟის 30 პროცენტი, და 85 პროცენტი ავტომობილებისა. მაშინ, როდესაც მსოფლიოში თითო მომუშავე მოტორზე გადის 100 ათასი კაცი, ამერიკაში საშუალოდ 12 კაცზე მოდის ერთი მოტორი. თუ წინად ამერიკა იყო უმთავრესად სასოფლო მეურნეობის ნაწარმოების გამომტანი ბაზარზე, დღეს ის გადიქცა უმთავრესად სამრეწველო საგნების გამტანათ ამერიკაში დღეს დაგროვილია მთელ მსოფლიოში არსებული ოქროს ნახევარი რაოდენობა.

იაპონიამაც კარგად გამოიყენა ომის შემდეგები. მრეწველობის განვითარებას იაპონიაში აქვს ხელოვნური და სიჯანსაღეს მოკლებული ხასიათი, მაგრამ ამასთანავე საგრძნობლად გადიდებულია კადრი მუშებისა, რომელიც რიცხვით 2,4 მილიონს უდრის.

მრეწველობის მდგომარეობა სამოქალაქო ომის დროს რუსეთში.

ამერიკის სახელმწიფო მდივანის იუზას მაგვარი ბურჟუაზიული პოლიტიკოსები და ეკონომისტები ამბობენ, რომ მიზეზი რუსეთის მრეწველობის დაშლისა არ არის არც ბლოკადა და არც მობილიზაცია, ეს სიცრუეა. წითელი არმია, თავის ენერგიის დაჭიმვის პერიოდში, როდესაც მას უხდებოდა ოთხ ფრონტზე ომის წარმოება შესდგებოდა რამოდენიმე მილიონი კაცისაგან, რომლის მეოთხედს შეადგენდა ნამდვილი კვალიფიკაციური მუშები. მეორეს მხრივ რუსეთის მთელს რიგს წარმოების დარგებს, როგორიც იყო ნახშირის, საქსოვ სართავის, ქაღალდის, არ შეეძლოთ ნორმალურად ემუშავათ საჭირო ინსტრუმენტების უქონლობის გამო, რომელსაც რუსეთი არას დროს არ ქონია. იგი ყიდულობდა უმთავრესად გერმანიიდან და ინგლისიდან. რომ იყოს ეს აღნიშნული ინსტრუმენტები რუსეთში, მაშინ მრეწველობა განვითარდებოდა ჩქარის ტემპით და გაასწორებდა ზავის დროს არსებულ მრეწველობას.

კრიზისი ძლიერდება.

ნაწილობრივი გამოცხოველებამ მსოფლიო ბაზრისა, რომელიც გამოიწვია 1919 წელს გაზაფხულში ზავის მდგომარეობაში გადასვლამ, ბურჟუაზიას მისცა თავის თავზე გადიდებული წარმოდგენა. მაგრამ ეს ბირჟის სიცხოველე და ადვილ ახსნილი სპეკულიაცია—იყო გაგრძელება ომის მიერ შექმნილ სპეკულიატურ სამრეწველო დარგებისა. მრეწველობა ეცემა არა მარტო ევროპაში, როგორც ჩვენ ზევით დავინახეთ, არამედ ამერიკაშიაც. მრეწველობის კრიზისი განვითარდა სწორედ იმ ქვეყნებში, სადაც მრეწველობის დარგები უმაღლეს წერტილამდის იყო განვითარებული, ე. ი. ამერიკაში და იაპონიაში. ამის მიზეზები იყო ყიდვითი უნარის დაკარგვა ევროპისაგან და სრული დავალიანება უკანასკნელისა შეერთებული შტატების მიერ.

მსოფლიო ბაზარი სრულიად მოშლილი აღმოჩნდა.

(გაგრძელება იქნება).

ბრძოლა ეპიდემიასთან.

ხოლერის საწინაამდეგო აცრა კავშირების წევრთათვის.

თბილისის საქალაქო საავათმყოფო-კასა უკვე შეუდგა ხოლერის საწინაამდეგო აცრის კავშირების წევრების და მათი ცოლ-შვილთათვის.

წინადადება ეძლევა ყველა საწარმოვო დაწესებულებებს საჩქაროთ მოაწოდონ კასას ცნობები მუშა მოსამსახურეთა და მათ ოჯახის წევრთა რიცხვის შესახებ და აგრეთვე ცნობა იმაზე, თუ სად და რა დროს უფრო მოსახერხებელი არის აცრის მოხდენა.

ეპიდემიურ ავათმყოფობასთან საბრძოლველად.

ბაქოს უნივერსიტეტის რექტორი პროფ. შიროკოგოროვი, რომელიც გამოიწვია საქართველოს რევკომმა აზერბეიჯანიდან, მიემგზავრება ბათომში წინასწარ ზომების გასაცნობათ, ეპიდემიურ ავათმყოფობათა გაჩენის შიშით საქართველოს ნაპირების რაიონში. პროფ. შიროკოგოროვი გასულ წელს ხელმძღვანელობდა ბათომში შავ ჭირთან საბრძოლველად.

აცრა სამხრეთ ოსეთში.

სამხრეთ ოსეთის ჯანმრთელობის განყოფილების გამგე იტყობინება, რომ ივნისის 7 ს სამხრეთ ოსეთის ყველა ადგილებში მოეწყო უფასო აცრა ყვავილისა, ხოლერისა, სახადისა და ჭირისა. ამ ჟამად ყვავილის აცრას ამთავრებენ ყორნისის და ბელეცის რაიონში: აცრას ხელს უშლის ასაცრელი დანების, მარლის, ბამბის და სხვა საექიმო საშუალებათა უქონლობა. საგრძნობია აგრეთვე მედიკამენტების ნაკლებობა, რადგანაც სამხრეთ-ოსეთში არ იყო არც ერთი საავათმყოფო. ახალი საავადმყოფოების გახსნა თანამედროვე პირობებში ძნელია, მაგრამ ამისდა მიუხედავად მიღებულია ყოველი ზომები იმისათვის, რომ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა უზრუნველყოფილ იქმნას საექიმო დახმარებით.

რედაქციისაგან

ჩვენი გაზეთის დღევანდელი №-ში მოთავსებულია შედარებით ცოტა საინფორმაციო მასალა, რადგან „გრუკავროსტამ" ასითი ვერ მოგვაწოდა.

ქრონიკა

რევკომის თავმჯდომარე ამხ. მახარაძესთან. სამშაბათს, ამა ივნისის 28 ს საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარემ მიიღო თავის კაბინეთში ხნცოვანი საზოგადო მოღვაწე კოკო მესხი, გაზ. „დროების" რედაქტორის სერგეი მესხის ქვრივი. მთავრობის თავმჯდომარე დიდის თანაგრძნობით მიეგება ამ ნამაგარ და დამსახურებულ ადამიანს, რომელსაც თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის ქართველი მოზარდი თაობის აღზრდა-განათლების სფეროში. მთავრობას განზრახული აქვს ყოველგვარი ღონისძიება მიიღოს, რათა, ამ საერთო ნივთიერ გაჭირვების დროს—კოკო მესხისა უზრუნველყოფილ იქმნეს და კვლავ განაგრძობს თავისი მუშაობა, რისთვისაც მას ჯერ კიდევ ძალ ღონე შესწევს. ამავე დღეს თავმჯდომარემ მიიღო კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი, რომელიც [illegible] ვით—ამ ზაფხულს [illegible] იქმნეს ერთ ერთ [illegible] ნილოდ.

◆ **პური იქნება.** სასურსათო სახ. კომ. მოადგილემ ამხ. ერქომაიშვილმა გრუზროსტას თანამშრომელთან საუბარის დროს პურის კრიზისის შესახებ სთქვა: „ის პურის კრიზისი, რომელსაც ამ ჟამათ განიცდის თბილისი, უსათუოდ დროებითია,—პური იქნება. ამ ჟამათ მოდის აქ [illegible] 5 ვაგონი, ამას გარდა ჩვენ გვაქვს ცნობა, რომ ბალაჯარიდან თბილისში გამოიგზავნება 40 ვაგონი. მართალია, უკანასკნელ ვაგონთა შესახებ არ ვიცით თუ ვის მისამართით იგზავნება,—ჩვენია თუ ლაშქრის სასურსათო მართველობისა, ამიტომ მასზე ვერ ვიმედოვნებთ, ყველაზე უმთავრესი ეს არის—მიღება პურისა ჩრდილო კავკასიიდან, სადაც ჩვენ გვეგზავნება საკმაო რაოდენობა საქონლისა, რომ მივიღოთ არა ნაკლებ 150,000 ფუთი პური. ხმებს პურის მაგიერ ფულის მიცემის შესახებ არ აქვთ არავითარი ნიადაგი. არავითარი დადგენილება რევკომს ამის შესახებ არ მიუღია.

◆ **ამხ. აბაშიძის დაკრძალვა.** ბათუმიდან საქ. რევ. სახელზე მიღებულია შემდეგი დეპეშა. გურიის რევკომი და კომპარტია აუწყებს ამხანაგებს, რომ სამშაბათს ივნისის 21-ს მოხდა ძვირფას ამხანაგის, ძველ პარტიულ მუშაკის, გურიის რევკომის წევრის ვ. გ. აბაშიძის დაკრძალვა.

◆ **ავანსი აგრონომიულ მუშაობისათვის.** მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა გაიღოს 60 მილიონი მან. სამაზრო აგრონომებს შორის გასანაწილებლათ საწრაფო მორიგ ხარჯების დასაფარავათ.

◆ **ლტოლვილთა ევაკუაცია.** მოსკოვიდან თბილისს მოვიდა კომარა რ. ს. ფ. რ. ცენტროევაკიდან მის მოქმედების შესაფარდებლათ საქართველოს ცენტრალურ საევაკუაციო კომისიის მუშაობასთან. ამ კომისიამ უკვე ინახულა საქ. ცენტროევაკის უფროსის მოადგილე. ახლო მომავალში გაერთიანებული კომისია შეუდგება უკვე ერთათ მუშაობის დეტალური პირობების გამომუშავებას.

◆ **ქალაქის სტატისტიკა.** ქალსტატბიურომ დაასრულა ქ. თბილისის მედიკო-სანიტარულ ნაწილის მიმდინარე წლის იანვარის, აპრილის ცნობების დამუშავება სამკურნალო რეგისტრატიულ ბარათების მიხედვით.

◆ **ძველი ტანთსაცმელის დარიგება. სოციალ. უზრუნ.** სოციალ. უზრუნ, არსებული კომისია ძველი ტანსაცმლის დასარიგებლათ გვთხოვს დავბეჭდოთ შემდეგი: ვინაიდან შემოსულია 900 თხოვნა, 60.000 მეტი კაცის დასაკმაყოფილებლათ და ვღებულობთ რა მხედველობაში ტანთსაცმელის სიმცირეს, ახალი თხოვნების მიღება დროებით განსაკუთრებულ განკარგულებამდე შეჩერებულია.

2½ ინტერნაციონალის დაარსება

1. ორი ეპოქის გზაჯვარედინზე.

მე-2 ინტერნაციონალის გაკოტრებამ, რომელიც 1914 წ. აგვისტოს 4 მოხდა, გვიჩვენა რომ ის ჯერ კიდევ ომამდის იყო ისტორიის მსვლელობით გამოფიტული და სასიცოცხლო დღეებს მოკლებული. ომის გამოცხადების წინ უკანასკნელ ათეულ წლების განმავლობაში, მიუხედავად ზოგიერთ სოციალისტურ პარტიაში „კლასიურ წინააღმდეგობათა გამწვავებისა, აშკარა გახდა ოპორტიუნისტთა გავლენის ზრდა. ფაქტი რომ მე-2 ინტერნაციონალმა ვერ შეიძლო ომის საფრთხისათვის სერიოზული წინააღმდეგობა გაეწია, მაჩვენებელი შეიქმნა იმის რომ მარცხისათვის საჭირო იყო მხოლოდ გარეგანი მიზეზი. მაგრამ რწმენა მისი აღორძინებისა და ოცნება მისი გადაკეთებისა რევოლიუციონურ ელემენტებში იმდენათ დიდი იყო რომ 1911 წ. ნოემბერში რუსეთის ბოლშევიკურ ცენტრალურ კომიტეტისაგან მისი გარადიკალების ფაქტის აღნიშვნა განსაკუთრებული მანიფესტით ისე გამოვიდა როგორც მძიმე ავათმყოფის სარეცელთან გარდაცვალებაზე სიტყვის წარმოთქმა. ბოლშევიკების, პოლონეთის და ჰოლანდიის მარქსისტების და გერმანიის მემარცხენე რადიკალების ყოველგვარი ცდა ჯერ კიდევ ციმერვალდში რომ საფუძველი ჩაეყარათ ჭეშმარიტ რევოლიუციონურ ინტერნაციონალისათვის ამაო იყო. ომის დასრულებამდი ის ელემენტები, რომლებიც თავის მიზნით ისახავდენ რევოლიუციონურ ინტერნაცინალის შექმნას უმნიშვნელო უმცირესობაში იყვნენ. იმის შემდეგაც კი რაც რომ გამოირკვა რომ 2 ინტერნაციონალს არც ომის გამოცხადებიდან მესამე წელს ჰქონდა ძალა გამოსულიყო ზავისათვის საბრძოლველად სტოკჰოლმის კონფერენციაზე ციმერვალდის გავლენიმა ჯგუფმა ეგრეთ წოდებულ „ინტერნაციონალისტებმა" შესაძლებლათ დაინახეს მონაწილეობა მიეღოთ სოციალ-პაციფისტების სტოკჰოლმში გამართულ კონფერენციაზე. კიდევ უფრო მეტიც—რუსეთის ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვებისა და გერმანიის ნოემბრის რევოლიუციის გამარჯვებიდან 1 ნახევარი წლის თავზე კომუნისტურ ინტერნაციონალის ისეთი მოწინავე რევოლიუციონერ მოღვაწეთაც კი როგორიც არის როზა ლიუქსემბურგი და ლეო იოგიხესი მესამე ინტერნაციონალის დაარსებას ნაადრევათ სთვლიდენ და რომ დღესაც ახლა [illegible] ადამიანი კომუნისტურ ინტერნაციონალის პირველ კონგრესის [illegible], რომელიც 1919 წ. მარტის 6 მოხდა, ცხადი ხდება თუ როგორი ნელი ნაბიჯით ერთიანდება მასა რევოლიუციონერ ბრძოლისათვის ურომლისოდაც კომუნისტურ ინტერნაციონალის დაარსება წარმოუდგენელი იყო.

მეორე ინტერნაციონალის გაკოტრება იმდენათ გადამწყვეტი იყო, რომ მას უკიდურესი პესიმისტიც კი ვერ წარმოიდგენდა. ეს გაკოტრება მარტო ბელადების ღალატში კი არ გამოიხატებოდა, არამედ იმაშიც რომ მე 2 ინტერნაციონალი ამის გამოცხადებამდი ეყრდნობოდა პირველ რიგში კვალიფიკაციურ მუშებსა და მუშათა არისტოკრატიას, რომელნიც მიუხედავათ სოციალისტურ ფრაზებისა კაპიტალისტურ სახელმწიფოს პირობებში გვარიანათ ცხოვრობდა, ეს გარემოება საფუძველს უყრიდა დემოკრატიულ და პაციფისტურ ოცნებებს, რითაც თავბრუს ასხავდა მას სოციალისტური ბიუროკრატია. მიუხედავათ დიდი მსხვერპლისა, რომელსაც ომი მასისგან თხოულობდა მასის განწყობილებაში დაუყოვნებლივი გარდატეხა მაინც არ მოხდა, ფრონტზე მებრძოლი მუშები ისევ და ისევ იკვებებოდენ თავს იმ იმედით, რომ ასეთი მსხვერპლისა და ტანჯვის ფასათ ისინი მოიპოვებენ უკეთეს მომავალს. ამის ზურგში მშრომელთა დიდ ჯამაგირითა და ულუფით აქეზებდენ. დასავლეთ ევროპაში პირველ პროტესტის ხმამ, რომელიც გაისმა ჯერ მუშა ქალთა მასასა და პროლეტარულ ახალგაზრდობაში, შემდეგ თუმცა მუშათა ფართო მასებშიც გადავიდა, მაგრამ ომის წინააღმდეგ პლატონიურ პაციფისტურ „წინააღმდეგობისა" შორს არ წასულა. ამ პროტესტებისავე მიზანი იყო რომ ემოქმედათ მთავრობაზე რათა მას სამართლიანი ზავი ჩამოეგდო. მხოლოდ ორ სახელმწიფოში შემოიკრიბა ოპოზიციამ ხალხის ფართო მასები რუსეთსა და იტალიაში. ეს მარტო იმითაც არ აიხსნება, რომ ამ სახელმწიფოში ომის იმპერიალისტურმა ხასიათმა განსაკუთრებით და დაურიდებლათ იჩინა თავი და არ იმით, რომ ბურჟუაზია და მთელი მისი სახელმწიფოებრივი აპარატი გახრწნილი და დაავადებული იყო, არამედ უმთავრესად იმით, რომ ორივე სახელმწიფოში მუშათა არისტოკრატია განუვითარებელი და სუსტი იყო. ომი პროლეტარიატის აჯანყებით რომ არ გათავდა და რომ მან [illegible] იმპერიალიზმის ერთ ბანაკის გამარჯვება. ეს აიხსნება მუშათა კლასის იმ პასიობით. დამარცხებულ მხარეში დამარცხება შინელებში გადაცმულ მუშების აჯანყებას კი არ გამოიწვევდა, არამედ ის შეიქმნა შედეგი ტანჯვის პასიურად გადატანისა და [illegible] ძალთა [illegible] გამო ფიზიკურად გაწამებისა.

გამარჯვებულ სახელმწიფოთა მუშები ფრონტიდან შინ დაბრუნდენ ერთის მხრივ პატრიოტული სიხარულით და მეორე მხრივ იმ რწმენით რომ ბურჟუაზია მათ მიერ გადატანილ ტანჯვასა და წამებას კეთილშობილებით დააფასებს და დადგება დემოკრატიული ხანა—მშვიდობიანობის ეპოქა.

გამარჯვებულ სახელმწიფოების მუშათა მასების ლოზუნგათ პროლეტარული რევოლიუცია კი არ გახდა, არამედ ვილსონიზმი. დამარცხებულ სახელმწიფოებში კი პირიქით პროლეტარიატის სხვა გრძნობებზე მაღლა დადგა მხურვალე სურვილი ზავისა და მშვიდობიანობისა: მათთვის ქონის ნაჭერი უფრო ძვირფასი იყო მთელი კაცობრიობის განთავისუფლების ყოველგვარ ოცნებებზე. კაცობრიობის განთავისუფლებას რომ ემუქრებოდა, ის საფრთხე ამ მასისათვის არ არსებობდა. 1918 წ. დეკემბერში გერმანიის მსხვილ ქალაქებში მხიარულად აღტყინებული მუშათა მასა თავს იყრიდა ქუჩებში და ეძლეოდა მოპოვებულის [illegible] გამო, რამდენათაც მცირე არ უნდა ყოფილიყო ის, სიხარულს, ერთი წამითაც კი არ იფიქრებდენ იმას, თუ რას შეიცავდა ეს დიდებული „ზავი".

ყოველ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში გაუჭირვებლათ მოახერხეს დემობილიზაციის ჩატარება. და ვინაიდან ამას შემდეგ საშინელი სიმცირე იყო საქონლის, მრეწველობა ყოველგან აყვავდა. [illegible], რამდენადაც დიდი არ უნდა ყოფილიყო, საქონლის ფასის გადიდებაზე თანხმა იყო და ამიტომ ბურჟუაზიაც გულუხვათ აჯილდოვებდა მუშებს შრომისათვის. ამ გარემოების გამო ისე ჩატარდა მთელი თვეები, რომ საზოგადოებრივი კონფლიკტი გამწვავებულ ფაზაში არ გადასულა.

1919 წ. გაზაფხულზე აფრიალებულ კომუნისტურ ინტერნაციონალის დროშას დასავლეთ ევროპის მშრომელთა უმნიშვნელო ჯგუფები შემოხვდა სასოებით. არა მარტო ინგლისის დამოუკიდებელ მუშათა პარტიამ, არა მარტო ფრანგ ლონგეს ჯგუფმა, რომელმაც ის ის იყო შემოიკრიბა თავის გარშემო უმრავლესობა, არამედ გერმანიის დამოუკიდებლებმაც შესაძლებლათ დაინახეს, რომ დამშვიდებული სინდისით ბერნში გამგზავრებულიყვნენ, რათა იქ შეიდემანის, რენოდელის და ჰენდერსონის მომხრეთა საზოგადოებაში გამოეძებნათ საშუალება მეორე ინტერნაციონალის აღდგენისა.

საქმეთა ასეთი მდგომარეობა ორმა ფაქტორმა შეცვალა. ყოველ სახელმწიფოში ბურჟუაზია ოქტომბრის რევოლიუციის საფრთხის შიშისაგან მალე განთავისუფლდა და ამ საფრთხისაც დააზღვია თავი, რომ დემობილიზაციის დროს ხალხი მას თავის ანგარიშს წარუდგენდა. ბურჟუაზია დათმობის გზას ჩვეულებრივათ გაჭირვების დროს ადგება და დათმობა მას მაშინ მიაჩნია საჭიროთ, როდესაც კისერში პროლეტარიატის ხელების წნევას გრძნობს. ვინაიდან მას პროლეტარიატი კისერში ხელს არ უჭერდა ამიტომ ის შეეცადა პროლეტარიატის თანდათანობით შევიწროებას და ყოველ შემთხვევაში არ მისცემია ფიქრს რაიმე დათმობის შესახებ.

გერმანიაში სოციალდემოკრატიის დახმარებით ბურჟუაზია შეუდგა თავის დანგრეულ ძალა-უფლების აღდგენას რისთვისაც გლეხთა და მუშათა საბჭოებს მან ჩამოართვა ყოველგვარი სახელმწიფოებრივი ფუნქციები. ინგლისში ბურჟუაზიას გაგონებაც კი არ უნდოდა სამთო მადნების ნაციონალიზაციისა. საფრანგეთში მან შეკრიბა მთელი რეაქციონური ძალები ბოლშევიზმთან ბრძოლის ლოზუნგის ქვეშ. ამ ცნებაში ყოველ სახელმწიფოში სოციალურ მდგომარეობის გამწვავების გამო მასისათვის მიუხედავათ ვილსონის ოცნებათა დიდი გავრცელებისა ცხადი შეიქნა რომ ბურჟუაზიის ძალღონეს აღემატებოდა შეექმნა რამდენიმეთ მაინც მტკიცე თუნდაც კაპიტალისტური ზავი. ვერსალის ზავმა ამ მასასაც ნათლად უჩვენა ის რაც ვერ შეიძლო კომუნისტურმა პროპაგანდამ,—რომ ბურჟუაზია სანამ არ დაემხობა და სახელმწიფოებრივ ძალა უფლებას არ დაკარგავს მანამ არამც თუ სამართლიანი არამედ არავითარი ზავი არ შეიძლება.

ანტანტის კაპიტალიზმმა ზავის ჩამოგდების ნაცვლად ვერსალის ხელშეკრულების დამღუპველ პირობების განხორციელებით გააკოტრა ცენტრალური ევროპა და საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ გალაშქრებით აღმოსავლეთ ევროპის დანგრევას ყველას დასანახათ შეუდგა, რითაც ბოლო მოუღო დროებით ზავის დროს სამეურნეო ცხოვრების დროებით აყვავებას.

და იმდენათ, რამდენათაც ცხადი ხდებოდა რომ მსოფლიო მეურნეების აღდგენა შეუძლებელი იყო თუ ნახევარი კაცობრიობა რუინებათ გადიქცეოდა, მუშათა კლასის წინაშე უფრო და უფრო ლიათ სდგებოდა საკითხი: ვის უნდა მოეთხოვა პასუხი ომისათვის. ერთი მხრივ საშინაო და საგარეო პირობებისა და მეორე მხრივ კაპიტალისტური ზავის გახრწნილა და ძველი კაპიტალისტური წესრიგის აღდგენის საქმეში უძლურების გამოჩენისა გამო, მუშათა მასსებში თანდათანობით ფეხს იკიდებდა და ისადგურებდა რევოლიუციონური განწყობილება. გამარჯვებულ სახელმწიფოებზედაც კი და თქვენ წარმოიდგინეთ ჩრდილოეთ ამერიკასა და შეერთებულ შტატებზედაც კი გადიარა პროფკავშირების მიერ მოწყობილმა და ზოგჯერ ყოველგვარ წინასწარ მოუმზადებლათ გამოცხადებულმა გაფიცვების ტალღამ წინააღმდეგ გომპერსების ნება სურვილისა.

ინგლისში პროფესიონალურმა მოძრაობამ რევოლიუციონური ფორმის სახე მიიღო: მუშები არ კმაყოფილდებოდენ შრომის ხელფასის გადიდების მოთხოვნით და თხოულობდენ ამასთანავე რკინისგზებისა და მაღაროების ნაციონალიზაციას.

კ. რადეკი.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკონომიური ცხოვრება

ბათომის ელექტროფიკაცია.

ბათომის ელექტროფიკაციის ჰიდრავლიკურ სადგურის მოსაწყობათ სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტმა აღძრა შუამდგომლობა უმაღლეს სახალხო სამეურნეო საბჭოს წინაშე, რათა გადასდოს ამ საქმისთვის 227 მილიონი მანეთი. სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტი ითხოვს, რათა ჰიდრავლიკურ განყოფილების განკარგულებაში იქნეს გადაცემული 60 მილიონი მანეთი.

მრეწველობის აღდგენა სამხრეთ ოსეთში.

სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტმა დაადგინა გადასდოს სამხრეთ ოსეთის აღსადგენათ 152,170,270 მანეთი. ამ თანხიდან უნდა გადაიდოს 63 მილიონი მანეთი სატყეო სახერხო ქარხნის მოსაწყობათ.

სახერხი ქარხნის მოწყობა.

სატყეო კომიტეტმა დააკმაყოფილა დუშეთის სამაზრო რევკომის ეკონომიურ განყოფილების შუამდგომლობა სახერხი ქარხნის მოწყობის შესახებ ფასანაურის ტყეში. ამ ქარხანას დაუთმეს სამი მრგვალი ხერხი.

მეაბრეშუმეობა

მეაბრეშუმეობის ინსპექცია ოფიციალურად გვატყობინებს, რომ აბრეშუმის მოსავალი წელს არ იქნება კარგი, ეს აიხსნება მით, რომ თავის დროზე არ იყო დარიგებული თესლი კარგი ხარისხისა.

ტყეების მოსპობა.

რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს ბორჯომიდან ატყობინებენ, რომ ადგილობრივი გლეხები შეესივენ და სასტიკათ სპობენ ბორჯომის რაიონში ტყეს, რაც მოიტანს დიდ უბედურობას. მიღებულია ენერგიული ზომები სახალხო ქონების დასაცავად.

ლტოლვა კომუნისტური პარტიისაკენ.

ხაშურის რკინისგზის სხვადასხვა დარგის მოსამსახურეები, რიცხვით 8 კაცი, გთხოვთ რათა გამოაცხადოთ შემდეგი: „ჩვენ მენშევიკების ორგანიზაციის ოფიციალური პარტიის წევრები, რომლებიც დიდი ხანია ვმუშაობდით მენშევიკების ორგანიზაციაში, რიცხ. რვა აცხ. 1) ბესარიონ ებანოიძე, 2) სვიმონ არბოლიშვილი, 4) დიმიტრი გოგიძე, 5) გიორგი კურტანიძე, 6) დიმიტრი ოდიკაძე, 7) იოსებ სამსონია, 8) გიგო გელაშვილი, უკვე გამოვედით მენშევიკების ორგანიზაციიდან და გადავდივართ კომუნისტების ორგანიზაციაში. მიზეზი ჩვენი კომუნისტების პარტიაში გადასვლისა ის არის, რომ ჩვენ დავრწმუნდით საქართველოში გადატრიალების და საბჭოთა მთავრობის დამყარების შემდეგ, რომ ჟორდანიას მთავრობა და მისი სულის ჩამდგმელი მენშევიკების პარტია ყოფილა ბურჟუაზიის და შავრაზმელ თავადაზნაურობის ინტერესების დამცველი და მშრომელი ხალხის—პროლეტარიატის და უღარიბესი გლეხკაცობის მოღალატე. ბოლშევიკ კომუნისტების მოქმედებამ მათ მიერ მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვამ ჩვენ დაგვარწმუნა, რომ კომუნისტების პარტია მტკიცეთ დგას სწორ რევოლიუციონურ გზაზე და თავისი მოღვაწეობით უმტკიცებს მთელი ქვეყნის პროლეტარიატს, რომ ის შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებს საერთაშორისო ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ხოლო მენშევიკების მუშაობამ, მათი საქმიანობამ, თვით ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ ისინი არიან საერთაშორისო ბურჟუაზიის და ინგლისის იმპერიალიზმის ლაქიები. აი, უმთავრესი მიზეზი ჩვენ მიერ მენშევიკების პარტიის უარის ყოფის და კომუნისტურ პარტიაში გადასვლისა. (ხელმოწერილია ზემოდ ხსენებულ რვა კაცის მიერ).

* * *

1913 წლიდან მე ვეკუთვნოდი სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიას, მაგრამ დღევანდელ პირობებში, გავითვალწინე რა კომუნისტური პარტიის სწორი ისტორიული ნაბიჯი, რომელიც დამცველია მუშათა და გლეხთა ინტერესების, და რომ მხოლოდ და მხოლოდ ეს პარტია შესძლებს ბურჟუაზიას სამუდამოდ დამხობას მშრომელთა საკეთილდღეოდ, მე უარვყოფ სოც.-რევოლიუციონერთა პარტიას და გადავდივარ კომუნისტურ პარტიაში.

სამსონ სხულუხია,

1921 წ. 30 მაისი.

* * *

დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა, მე ქვემო ამისი ხელისმომწერი ვრაცხ ჩემს თავს სოციალ-დემოკრატიულ „მენშევიკურ" პარტიიდან გამოსულათ და უერთდები ნამდვილ მუშურ კომუნისტურ პარტიას.

დეპო ხაშურის მემანქანე ბესარიონ ებანოიძე.

1921 წ, 80 მაისი, ქ. თბილისი.

* * *

მე დღემდე ვმუშაობდი მენშევიკურ პარტიაში. ეხლა სრულიად გამოვდივარ მენშევიკურ ორგანიზაციიდან და გულწრფელად ვეწერები კომუნისტურ პარტიაში და სამუდამოთ მტკიცეთ დავიცავ მუშა გლეხთა ინტერესებს.

ერასტი ირაკლის ძე სამსონია.

* * *

ვინაიდან დღევანდელ პირობებში კომუნისტურ პარტიას სწორი ისტორიული ალღო აქვს აღებული და ერთად ერთი პარტიაა, რომელიც სავსებით გამოხატავს მუშების და ღარიბი გლეხების ანტერესებს, ამიტომ მე როგორც 1917 წლიდან გულით თანამგრძნობი კომპარტიისა, ფიცს ვსდებ სისხლის წვეთამდე დავიცვა ამ პარტიის იდეია, როგორც ღარიბი მუშა გლეხის შვილმა.

რომანოზ იგივე ძაკუ ანდრიას ძე ჯავა.

1921 წ. 4 მაისი.

* * *

მე, ალიქსანდრე ოსაძე, ვითვლებოდი
ნის ორგანიზაციის წევრად. ეხლა ვთვლი რა მენშევიკების პარტიის მოქმედებას და მის ბურჟუაზიულ ტაქტიკას მიუღებლად მუშისათვის, როგორც რკინის გზის მუშა, სამუდამოდ ვტოვებ ამ პარტიას და გადავდივარ ნამდვილ მუშათა საქართველოს კომუნისტურ პარტიაში.

ქ. ხესტაფონის დეპოს ზეინკალი
ალექსი ოსაძე.

* * *

მე ქვემორე ამა განცხადების ხელისმომწერი მოქალაქე ლავრენტი ლუკას ძე ბარბაქაძე, ვირიცხებოდი მენშევიკების პარტიაში 1905 წლიდან 1921 წლამდე, მაგრამ დღეს დავრწმუნდი მათი მოღალატური მოქმედებით მშრომელი ხალხისადმი, გამოვდივარ რა ზემორე აღნიშნულ პარტიიდან და გადავდივარ ნამდვილ რევოლიუციონურ მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველ პარტიაში, როგორიცაა ბოლშევიკურ-კომუნისტური.

ლ. ბარბაქაძე.

3 ივნისი 1921 წ., ქ. ხაშური.

* * *

ვაცხადებ, რომ 1919-მდი ვეკუთვნოდი მენშევიკურ პარტიას, შემდეგ კი დავრწმუნდი მათი მოღალატური პოლიტიკაში მუშათა კლასისადმი. ამისათვის გავსწყვიტე მათთან ყოველივე კავშირი, ახლა მსურს ჩემი უკანასკნელი სიცოცხლე შევსწირო კომუნისტურ პარტიას, როგორც ნამდვილ სოციალისტურს და შევიტანო ჩემი წვლილი საერთო საქმეში.

სადგურ ნავთლუღის მატარებლების შემადგენელი **ივანე ივანეს ძე ცომაია.**

* * *

1919 წლიდან ვმუშაობდი სოციალ-დემოკრატების პარტიაში 1921 წლამდის, ესე იგი საქართველოში საბჭოთა მთავრობის გამოცხადებამდის, ეხლა დავრწმუნდი, რომ მენშევიკების პარტია არ იცავდა გლეხების და მუშების ინტერესების. უარვყოფ მენშევიკებთან მუშაობას და გადავდივარ კომუნისტების პარტიაში, ვ ნაიდან მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველი პარტია არის მხოლოთ ერთად ერთი კომუნისტური პარტია.

ილია ფერაძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმისა, შესახებ ნებადართვისა და გავლინების დოკუმენტების, საიჯარო ხელშეკრულებათა გაუქმებისა, მიწის სიღრმის დაზვერვის და დამუშავებისა და სათანადო ახალი დოკუმენტების მიღების წესისა 1921 წ. 21 ივნისი.

1. ა. წ. 6 აპრილს № 17 საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის დეკრეტის ძე 9 მუხლის ძალით, მიწის და მის სიღრმეთა გაეროვნების შესახებ, დღემდის გაცემული ყოველგვარი ნებართვის და გავლინებაი დოკუმენტები და ნებართვები, აგრეთვე დადებული საიჯარო და სხვაგვარი ხელშეკრულებანი რომლებიც ძალით კერძო პირთ, ამხანაგობას ან კიდევ საზოგადოებებს უფლება ჰქონდა მიცემული მიწის სიღრმის დაზვერვისა და მადნეულთა დამუშავებისა, ითვლება ყოველივე ძალას მოკლებულათ და ცხადდება გაუქმებულათ.

2. ყველა ფირმები და პირნი, რომელნიც აწარმოებენ მადნეულთა დამუშავებას და სურთ ასეთის გაგრძელება, მოვალენი არიან, მუშაობის შეუჩერებლათ, არა უგვიანეს 1921 წ. 1 ლ აგვისტოსა შეიტანონ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამთო განყოფილებაში სათანადო განცხადება, რომელშიაც აღნიშნული უნდა იქნეს ცნობები თავის პირვანდელი მუშაობის შესახებ, დამუშავების ადგილი, მისი დაწვრილებითი საზღვრების აღნიშვნით, ახალი ნებართვის დღეს საბჭოსთან ახლო ხელშეკრულების დაიდებად.

3. ყველა ფირმები და პირნი, რომელთაც სურთ შეუდგნენ იმ მადნეულთა ზვერვასა და დამუშავებას, რომელნიც ამ ჟამად არ მუშავდება, უნდა შეიტანონ ამისათვის სათანადო განცხადება სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო განყოფილებაში.

4. ყველა იურიდიული პირნი, რომელნიც აწარმოებენ სამთო მრეწველობას მოვალენი არიან წარადგინონ თავიანთი წესდება, საამხანაგო ხელშეკრულებანი და სხვა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამთო განყოფილებაში მისი ხელმეორეთ დასამტკიცებლად.

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **მ. ტოროშელიძე**
საქმეთა მართველი **ე. მადიხონი.**

დადგენილება

საგარეო ვაჭრობის გაერთიანებული კოლეგიისა.

ამა წლის 22 ივნისიდან განცხადების წარმოდგენის წესის შესახებ საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის საგარეო ვაჭრობის კავშირში გაერთიანებული საგარეო ვაჭრობა:

ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცდენათ, რომელიც ხდება დღეს საბჭოთა დაწესებულებებში საქართველოში, აზერბაიჯანში და სომხეთში, განცხადების წარდგენის დროს საგარეო ბაზარზე სავაჭროთ, საგარეო ვაჭრობის გაერთიანებული კოლეგია საყოველთაოთ აცხადებს:

1. საგარეო ვაჭრობის გაერთიანებული კოლეგია არაფითარ განცხადებას არ ღებულობს აღნიშნულ რესპუბლიკის ცალკე დაწესებულებიდან.

ს. საბჭოთა ყველა დაწესებულებები, აზერბეიჯანის ნავთის კომიტეტის და ამიერ კავკასიის რკ. გზის მმართველობის გამოკლებით, ვალდებულია თავისი განცხადებანი წარადგინონ სათანადო ინსტანციით თითეულ ჩამოთვლილ რესპუბლიკების საგარეო ვაჭრობის გაერთიანებულ კოლეგიაში.

გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის კოლეგია განიხილავს მხოლოთ იმ განცხადებებს, რომელნიც შემოსული იქნება აღნიშნულ წესით.

გაერთიანებული გამგეობა ამიერ კავკასიის რკ. გზებისა და აზ. ნავ. კომიტეტისა გააკეთებენ თავიანთ განცხადებას საგარეო ვაჭრობის გაერთიანებულ კოლეგიაში უშუამავლოთ, მხოლოდ ამისათვის საჭიროა, რომ განცხადებანი გამომდინარეობდეს თვით რკ. გზათა მმართველობისაგან და არა ცალკე მისი განყოფილებიდან ანუ მართველობიდან.

საგარეო ვაჭრობის გაერთიანებული კოლეგია: **მ. მდივანი, ბეგზ დიანი, ფ. რაბინოვიჩი.**

მდივანი **კუდრაშევი.**

ბრძანება № 20.

ცენტრალი სტატისტიკური სამმართველო ს. ს. ს. რ. წინადადებას აძლევს ყველა დაწესებულებათ და კერძო პირთ, რომელთაც აქვთ არიფმომეტრები (საანგარიშო მანქანები), მოახდინონ მათი რეგისტრაცია, № ის, სისტემის და სწორი მისამართის აღნიშვნით, შვიდი დღის განმავლობაში დღიდან ამა ბრძანების გამოქვეყნებისა.

ცნობები წარმოდგენილ უნდა იქნას წერილობით და პასუხისმგებელ პირის ხელმოწერით.

დამნაშავენი ცნობების მიუცემლობაში, სასტიკ პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი ხოლო არიფმომეტრები ჩამორთმევათ.

მისამართი: ცენტრალ სტატისტიკურ სამმართველოს, ბროსეს ქ., № 4.

მმართველი **გრიგორიანი.**
საქმეთა მმართველი **კლიმიაშვილი.**

[illegible] [illegible] ცენტ- [illegible] რუსთაველის პრ., № 22,

— საქ. [illegible] [illegible] — რუსთაველის პრ., 22. ტელ. 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო — [illegible] ლის ქ. 136, [illegible] ტელ. 1—33

— მე-2-რე რაიონის ბიურო — [illegible] ლის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო — [illegible] შერი, კახეთის მოედანი. 5—38.

— მე-4-მე რაიონის ბიურო — [illegible] ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9—[illegible]

მე-5-ეუ რაიონის ბიურო — [illegible] ქუჩა.

— საქ. ამხ. [illegible] — რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია

განცხადებანი

პარტიული

პარასკევს, 1 ივლისს, სღ. 5 საათზე, შესდგება მბეჭდავთა კომფრაქციის მორიგი კრება. გასარჩევია მნიშვნელოვანი საკითხები. ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

— მელითონეთა პროფ კავშირის გამგეობა ამით აცხადებს, რომ შაბათს, 2 ივლისს, სღ. 5 საათზე, შესდგება სა-
თონეთა პროფ-კავშირთა კრება, კავშირის შენობაში.

დღიური წესრიგი:

სასურსათო კრიზისი და კომუნისტური პარტიის პოლიტიკა. პარტიული დისციპლინის წესრიგით დასწრება ყველა წევრთათვის სავალდებულოა.

სხვა და სხვა

— თბილისის ნივთ საწყობთან იხსნება საბარგო-მექანიკური სახელოსნო, სადაც უნდა შეკეთებულ იქმნეს ყოველგვარი სამხედრო ნიმუშის ფურგუნები და სანიტარკები წითელ ლაშქრისთვის საჭიროა 40 ც ხელოსნამდე, მათ შორის ზეინკალი, მჭედელი და დურგალი, აგრეთვე სახელოსნოს გამგე თავის ორ თანაშემწით (ტეხნიკები), საქმის მწარმოებელი, სამი მწერალი, 2—მოანგარიშე და მომუშავენი, კარგ პირობებში. მაგალითად, განსაკუთრებული ჯამაგირი, სამხედრო უფასო ულუფა და ტანსაცმელი. (მისამართი: ნავთლუღი, სამხედრო ჰოსპიტლის უკანა ნივთ საწყობი).

ადმინისტრაცია.

სოციალურ უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის დაჭრილ-დასახიჩრებულთა განყოფილება (ყოფილი რესპუბლიკის დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირი) აცხადებს ინვალიდთა საყურადღებოდ, რომ განყოფილების სახელოსნოებში სწარმოებს შეგირდების მიღება —

ასწავლიან ფეხსაცმელების კერვას, ჩითქების კეთებას, მკერვალობას და დალაქობას.

შეგირდების ხანი განსაზღვრულია ექვსი თვით, რის შემდეგ შეგირდს ენიშნება ხელფასი.

შეგირდს მიეცემა უფასოდ: ბინა, ტანსაცმელი, სადილი, ვახშამი და სხვა.

თხოვნების მიღება — ყოველ დღე 8—2 საათამდე (მიხეილის ქ., № 139).

ჩაწერა გაგრძელდება მხოლოდ ივანობისთვის დამლევამდე.

კოლეგია.

— სახალხო განათლების კომისარიატს ესაჭიროება თარჯიმანი ქართულის და რუსულის კარგათ მცოდნე.

მისამართი: ლორის მელიქოვის ქუჩა ქალთა გიმნაზიის შენობა.

ინსტრუქტორთა ცენტრალური ინსტიტუტის გახსნა.

დღეს, 1 ივლისს ნაშუადღევს 1 ლ საათზე დანიშნულია ს. ს. ს. რ. სახალხო განათლების კომისარიატის ინსტრუქტორთა და ორგანიზატორთა ცენტრალურ ინსტიტუტის გახსნა, მასწავლებელთა ინსტიტუტის შენობაში (დიდი მთავრის ქუჩა № 91).

ს. ს. ს. რესპუბლიკის სახალხო განათლების კომისარიატი

აცხადებს საყოველთაო ცნობად, რომ რესპუბლიკის ყველა დაწესებულებათა მოსამსახურე სტუდენტთაგან მხოლოდ ისინი იქნებიან სამსახურიდან განთავისუფლებულნი უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გასაგრძობათ, რომლებიც სამსახურში შესვლამდე ფაქტიურად ირიცხებოდნენ ამ სასწავლებლების სტუდენტებად და რომლებიც ამ გარემოების დასადასტურებლად საჭირო საბუთებს წარმოუდგენენ დაწესებულებათა უფროსებს.

აკადემ. ცენტრის გამგე **დ. კანდელაკი.**
მთავარ გამგის თან. **ალ. მ. ზანდუკელი.**
მდივანი **თ. ხაყვარელიძე.**

სომეხ-ოფიცრების რეგისტრაცია.

საქ. სამხედრო საზ. სახალხო კომისარიატის ნებართვით ცხადდება რეგისტრაცია ყველა სომეხ ყოფილ აფიცერთათვის როგორც სამსახურში მყოფთათვის, ისე უადგილოთათვის რეგისტრაცია გაგრძელდება სამი დღე.

რეგისტრაციის პირველ დღეთ ითვლება 1 ივლისი მიმდინარე წლისა.

უნდა გამოცხადდნენ ს. ს. რ. პ. სრულ უფლებიან წარმომადგენლობასთან, (გოლოვინის პრ. № 8).

რეგისტრაცია იწარმოებს დილის 10 საათიდან 2 საათამდე ადგილობრივი დროთი.

ის პირნი, რომელნიც არ გამოცხადდებიან, მიეცემიან სასტიკ პასუხისგებაში.

სრულ უფლებიანი წარმომადგენელი სომ. ს. ს. საქართველოში **დ. შავერდოვი.**

ქალაქის რევოლუც. კომიტეტის ჯანმრთელობის განყოფ. კბილის ქვე-განყოფილება

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებში დანიშნულნი არიან რაიონული კბილის ექიმები, რათა ემსახურონ მუშებს, პროფესიონალურ კავშირს, საბჭოთა მოსამსახურეთ და მათ ოჯახობას და ამიტომ ცალკე კავშირებს და ცალკე უწყებებს, რომელთაც ჰყავთ თავიანთი კბილის ექიმები (მითვისებული ამა თუ იმ უწყებაზე) კბილის საექიმო ქვე განყოფილების ნება დაურთველათ წინადადება ეძლევათ დაითხოვონ იგინი სამსახურიდან და მოსამსახურენი კი, რომელნიც საჭიროებენ კბილის ექიმობას (ამისათვის საჭიროა ორდერის მიღება თავის უწყებიდგან) შეუძლიანთ მიმართონ ყველა რაიონის კბილის ექიმს, რომელთანაც ისურვებენ. პროფესიონალურ კავშირებს და საბჭოთა უწყებებს, რომელთაც ჯერ არ მიუღიათ ორდერები კბილის საექიმოთ, უნდა გამოგზავნონ თავიანთი რწმუნებული სათანადო მოწერილობით და მიიღონ ორდერები ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებიდგან კბილის საექიმო ქვე განყოფილებაში (განოვის ქუჩა № 22).

კბილის საექ. ქვე განყ. გამგეს **მაგ. მარგველაშვილი.**
მდივანი **პ. აბესაძე**

ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილება აცხადებს

ქალაქ თბილისის მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ ყოველ ავადმყოფობის, და ნამეტურ კუჭ ნაწლავების შემთხვევის დროს უნდა მიმართონ საექიმო დახმარებისთვის მოყვანილ უბნის ექიმებს:

1.	უბანში ექიმი	იერემინა	იზმაილოვის ქუჩა № 27
2.	„ „	გაჩეჩილაძე	გრიბოედოვის ქ. № 4
3.	„ „	ბაბალოვი	პასკევიჩის ქუჩა. № 6
4.	„ „	შავერდოვი	ფეთხაინის ალ. № 2
5.	„ „	ტერტეროვი	არხივის შესახ. № 13
6.	„ „	ბაგატოვა	მამუკინის მოედ. № 11
7.	„ „	კახოიანცი	ლაზარევის ქუჩა №
8.	„ „	გრძელიშვილი	19 თებერვლის ქ. № 48
9.	„ „	მაღალიშვილი	ჩერქეზოვის ქუჩა № 22
10.	„ „	ტერ ნიკოგოსოვი	მილიუტინის ქუჩა № 2
11.	„ „	კლიმიაშვილი	გოგოლევის ქუჩა № 64
12	„ „	კოჩინაშვილი	კოოპერატივის ქ. № 13
13	„ „	ტყემალაძე	პასკევიჩის ქუჩა № 1

ევალება ყველა ექიმებს, როგორც სამსახურში მყოფთ ისე კერძო მომუშავე რომ გადამდებ სენიანთ ავადმყოფთა მეტადრე ხოლერიანის აღმოჩენისას დაუყონებლივ აცნობონ ქალაქის სადეზინფექციო კამერას (აბასთუმანის, და დროვიანოი ქუჩების კუთხ. დეზერტ. ბაზ. გვერდით ტელ. № 1—72) ავადმყოფის გადასაყვანად დეზინფექციის მოსახდენათ. ამასთანავე საჭიროა შეტყობინება ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებისათვის (განოვის ქ № 22). სარეგისტრაციო ფურცლის საშუალებით მიღებული წესით.

ქალ. ჯანმრთ. განყოფილება.

პროფკავშირთა პლენუმის სხდომა, რომელიც იყო დანიშნული ა. წ. 28 ივნისს, შესდგება პარასკევს ა. წ. 1 ივლისს კინო „მინიონი"ს დარბაზში, საღამოს 6 საათზე.

დღის წესრიგი:

1) მუშათა კოოპერტივები.
2) მოხსენება საქართველოს პროფკავშირთა კონფერენციის შესახებ.
3) მოხსენება პროფკავშირთა მე-4-ე ყრილობის შესახებ.
4) მასწავლებელთა კავშირზე.
5) მიმდინარე საქმეები.

ვთხოვთ ამხანაგებს ნუ დაიგვიანებენ.

პრეზიდიუმი.

ჟურნალი „ლახვარი"

ახლო მომავალში გამოვა სალიტერატურო და იუმორისტული ჟურნალი „ლახვარი".

მასალები უნდა გამოიგზავნოს პოლიტიკურ განათლების [illegible]